

# „რომელ და ჯუღაშა“ ღრმის კონცემსტემი

პაოლა ურუბაძე

(თემა და ვარიაციები)

„დრამატული ნაწარმოები, თვით ისეთი გენიოსისაც კი, როგორიც შექსპირია, ჯერ კიდევ არ არის თეატრალური ნაწარმოები. თეატრალურად იყო მხოლოდ იმ მომენტიდან იქცევა, როდესაც თეატრის ხელოვნების ძალით ხდება მისი გარდასახვა, ან თუ გნებავთ, კუსოდოთ ამას „ხახულის დრამატულება“.<sup>1</sup> ეს აზრი თაროვის მიერ 1921 წელსა გამოიქველი „რომეოსა და ჯულიეტას“ რეჟისორულ ექსპლიკაციაში. არსებითად ეს არის ერთ-ერთი პირველი რეჟისორული განაცხადი შექსპირის ტრაგედიაში ჩადებული კონფლიქტის მიზეზებისადმი საკუთარ ორიგინალურ მიღებობაში, ანუ მისივე სიტყვებით რომ ვისარგებლოთ, განაცხადი „თავისუფალ თეატრალურ ტრანსკრიფციაზე“, რომლის მიზანიცა ტრაგედიის თანამედროვე აღქმასთან, „მეოცე საუკუნის ადამიანთა ცნობიერებასთან“<sup>2</sup> მიახლოება.

ნიშანდობლივია, რომ რეჟისორს ეს აზრი გაუჩნდა სწორედ „რომეო და ჯულიეტას“, ანუ პიესის მიმართ, რომელიც იმ დროისათვის არ იყო მიჩნეული „თანამედროვე წაკითხვის“ პრეტენდენტად. ამ თვალსაზრისით პრიორიტეტი „პამელეტსა“ და „მეფე ლირს“ ეკუთვნოდა. ამ პიესათ თემატიკა – იდეალების მსხვევა, „ბოროტების უფსერულის“ წინაშე შერევეული ცნობიერებისა და დროთა კავშირის რღვევა უშუალოდ უკავშირებდა ერთმანეთს წარსულის ტრაგიკულ კოლიზიებსა და თანამედროვე სინამდვილეს, მის „წყეულ კითხ-

ვებს“. აქტიორულ თეატრში ამ ნაწარმოებთა სცენური წარმატების საფუძველს შეადგენდა ერთიანობა იმ ფილოსოფიური და ცხრილებისეული პრიბლებებისა, რომელებიც თანაბრად აღელვებდათ შემსრულებლებსაც და მათ თანამგრძნობა აუდიტორიასაც. რაც შეეხება „რომეო და ჯულიეტას“, რომეოს სიტყვებით რომ ვთქათ: „ჯანდაბას უფილოსისაფია! მას ჩოტ არ ძალუებს ჯულიეტა შექმნას, დაბადოს, ანუ ქალაქებს შეუცალოს თვისი ადგილი, ან პრინცის მსჯავრი გააუქმოს“.\* ამქვეყნად არაფერს ძალუებს დაცენტროს მათი ვნება, გარესამყარო მხოლოდ მათი ბედის განმსაზღვრულია, მაგრამ არ შექვე განხეთქილება, ეჭვი, ურწმუნობა მათ სულებში... რაკი „ერთხელ და სამუდამოდ“ შეიყვარეს, სიკედილადე თავიანთი გრძნობის ერთგული ჩჩებიან... და თეატრისთვის, რომელშიც მსახიობი იყო წამყვანი, გველაზე მნიშვნელოვანი ხდებოდა გმირების გრძნობათა სწორედ ამ ერთიანობის, მათი სულების სრული თანაზიარობის, დაუკეტებელი და, ამავე დროს, კეთილშებილი, სულიერებით გამობარი, ვნების გადმოცემა. სპექტაკლის წარმატება უპირველეს ჭრალის, განამირობებული იყო ვერონელ შეყვარებულთა მწუხარე ხვედრისადმი მაყურებელთა თანაგანცდის ხილრმე. ეს თავის მხრივ, გარკვეულ მოთხოვნებს

\* უ შექსპირი. რომეო და ჯულიეტა. III მოქ. III სურ. თარგ. 3. ჭრისძისა

უკუნებდა მსახიობებს, კერძოდ, საჭირო-  
ებდა შექსპირის სული ტექსტის, მისი  
მღვარე პოეზიას გადმოცემის უნარს,  
არა უბრალოდ სიყვარულის, არამედ მი-  
სი უმაღლესი და სრულყოფილი გამო-  
ხატულების გამოსახვას...

უდიდესი პიტეტი ტრავედის თით-  
ოველი სიტყვისა და ასევე შემსრულებ-  
ლისამდი, რომელმაც თავისი ნიჭის ძა-  
ლით ხორცი შეასხა მრავალ თაობათა-  
ფვის მარადიული და განუკრელი სიყ-  
ვარულის სიმბოლოდ ჩცეულ სახეებს, ზოგჯერ ავიზუებდა კიდეც მყურუბელს, რომ ჩშირად შექსპირულ გმირთა და  
მათ შემსრულებელ მსახიობთა ასაქს შორის აშკარა შეუსაბამობა იყო. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება თეა-  
ტრის ისტორიაში.

ჭ. ს. სტანისლავსკი იხსენებს ერნე-  
სტო როსის, — რომელიც უკვე ჭარბაზ  
ასაქში თამაშობდა რომეოს, — როდე-  
საც ფრა ლორენცოსთან საკანში მისი  
გმირი სასწარკვეთისა და სულიერი  
ტკივილისაგან იატაკზე გორაქს: „ჩასუ-  
ჟებულმა მოხუცმა გაბედა ამგვარი რაშ  
და ეს არ ყოფილა სასაცილო, ვინაიდან  
რილის შინაგანი ნახატისათვის, საინ-  
ტერესოდ მიგნებული ფინქოლიგიური  
ხაზისათვის ასე იყო საჭირო“. „ჩვენთვის  
ნათელი იყო მისი მშვენიერი ჩანაფიქ-  
რი, ვტკბებოდით და თანაუგვრძნობდით  
რომეოს“<sup>3</sup>, — წერდა სტანისლავსკი.

აღსანიშნავია, რომ იოშეფ კაინცის  
რომეო, რომელიც მსახიობმა ჯერ კი-  
დევ ახალგაზრდობდისას განახახიერა, მა-  
ყურებელმა საკმაოდ ცივად მიიღო. მა-  
გრამ როდესაც მან ეს როლი 40 წლისამ  
ითამაშა — თავისი ნიჭისა და სცენური  
ოსტატობის აღმაფრენის პერიოდში, —  
თანამედროვეთა მოწმობით მისი შესრუ-  
ლება აღმული იყო ხელოვნების უმაღ-  
ლეს ქმნილებად, რომელიც, სამწუხა-  
როდ, შეუძლებელია მუშეუმში მოათა-  
ვსო ბოტიჩელის „გაზაფხულის“ მსგა-  
ვსაც.<sup>4</sup>

გასული საუკუნის 80-იან წლებში  
ლონდონის თეატრ ლიცეუმში, რომეოს  
როლს ასრულებდა ორმოცდათი წლის  
ქენრი ირვინგი, ხოლო ჯულიეტას —  
ორმოცი წლის ედვინ ტერი.

ამ როლზე მუშაობისას დიდი ინგ-  
ლისელი მსახიობი ქალი თვლიდა, რომ  
არც თუ ისე ახალგაზრდა, მაგრამ ვამგა-  
ვე დროს არა იმდენად დაბრძნებული,  
რათა ჯულიეტა ითამაშოს.<sup>5</sup> ხოლო უპ-  
ვე 60 წლის ასაქში იგი აღიარებდა, რომ  
სწორედ ახლა, რაც დიდი ხნის მანძილ-  
ზე არ უთამაშია ეს როლი, მას უკეთ ეს-  
მის ჯულიეტასი, ვიდრე მაშინ... და ბო-  
ლოსდაბოლოს ახლა უკვე იცის როგორ  
უნდა ითამაშოს ჯულიეტა.<sup>6</sup> ჰენრი ირ-  
ვინგის რომეოს არ ხვდა წილად ისეთი-  
ვე უსიტყვო წარმატება, როგორც ტერ-  
ის ჯულიეტას, მაგრამ მისი მისამართი-  
თაც მეტად სახარბიელი შეფასებება  
გამოიიქვა. ინგლისის ერთ-ერთი წამყ-  
ვანი კრიტიკოსი ფრანკფურტ მური  
მის მიერ შექმნილ სახეს აღსარებას  
უწოდებდა... „იგი აღსავსეა ძალითა და  
ორიგინალობით“, — აღნიშნავდა მური  
ელენ ტერისადმი წერილში.<sup>7</sup>

„გრძნობათა სიღრმით“, ემოციური  
და აზრობრივი ნიუანსების მრავალსახ-  
ოვნებით აღფრთოვანებული მაყურებლ-  
ის მიერ მსახიობთა ასაკის ამგვარი იგნ-  
ორიორება ზოგჯერ აშკარა კურიოზიების  
მიზეზიც ხდებოდა. თავის ერთ-ერთ ინ-  
ტერვიუში ფრანკო ძევირელი მოგვით-  
ხობს ჯულიეტას შემსრულებელი მსა-  
ხიობის შესახებ, რომელმაც სცენაზე  
დაკარგა კბილის პროტეზი, მაგრამ ეს  
არავის შეუმნიერვა, — მაყურებელი ეს-  
ოდენ გაიტაცა შექსპირულმა ტექსტმა.<sup>8</sup>

რომეოსა და ჯულიეტას როლების  
შემსრულებელი დიდი მსახიობები, მა-  
ყურებელს, უპირველეს ყოვლისა, „რო-  
ლის სულის“ გამოხატვით შეძრავდნენ  
ხოლმე. მათ ცნობიერებაში, ისევე რო-  
გორც მაყურებელთა ცნობიერებაში, პი-  
ესის საზღვრები წარმოდგენილი იყო  
ასწლეულებით, მარადიულობით, ყოფი-  
ერების განუსაზღვრელი სივრცით, სა-  
დაც „საზიზღრობდისა და ბოროტების“  
გვერდით სუფევდა ის სილამაზე, ის სი-  
ცავარული და სიკეთე, რომლის დანიშ-  
ნულებაა — აღადგინოს სამყაროს დრო-  
ებით დარღვეული ჰარმონია. და რა  
მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონიდა  
მსახიობის გარეგნულ იერს, თუკი მისი  
თამაში სწორედ „შექსპირისეული ტექ-

სტისადმი” წაყენებულ ამ მოთხოვნებს პასუხობდა.

პირის ტრაგიული არსის ეს „ზე-დროულობა“ ყველაზე ზუსტად, აღბათ, თაიროვება გამოხატა თავის ექსპლიკაციაში, რომელსაც, მისი ღრმა რწმენით, პირის პრობლემატიკა XX საუკუნის მაფურებლის ცნობიერებასთან უნდა მიეთხოვებინა. „რომეო და ჯულიეტა“, — ამბობდა რეგისირი, — შეყვარებულთა მარადიული სახეებია, ისეთივე მარადიული, როგორც დუშიანტა და საკუნტალა, ტრისტანი და იზოლდა — სიყვარულის ორი გმირი, მსხვერპლად შეწირულნ მის მარადიულ სტიქიას,... დაუთქებელსა და კატასტროფულს, კოვლისმომცველსა და მრავალწახნაგოვანს“.<sup>10</sup> ამ დებულებით თაიროვი სავსებით ეხმიანება წარსულის დიდ მსახიობებს, რომელთა თამაშში, პასტერნაკის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ცალკეული ნიშნის ამწუთიერობა და მოკვდობა განიბნეოდა მისი ზოგადი არსის მარადიულობაში“.<sup>11</sup>

მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც თაიროვი განახორციელებს „რომეოსა და ჯულიეტას“ დადგმას, კაცობრიობის რწმენა ცხოვრების სულიერ ფასეულობათა ურყეობასა და გამარჯვებაში საგრძნობ გადაფასებას განიცდიდა.

„საზიზლობებისა და ბოროტების“ სამყარო, ურთიერთშუღლში მოპაქრევერობილი დიდგვაროვნებისა და მათ გარემომცველთა სახეებში რომ იყო ხორცშესხმული, ახლა უფრო შემთარავ კონკრეტულობას იძენს.

პირველმა მსოფლიო ომმა, მისმა მომდევნო სოციალურმა ქარტეხილებმა პრაქტიკულად დაადასტურა ზიგმუნდ ფრიდის დასკენები ადამიანის აგრეხიულობაზე, როგორც ადამიანური ქცევისა და საზოგადოებრივი მექანიზმის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელზე. აგრეთვე ისეთი სოციალური მოვლენების გარდუვალობასა და მარადიულობაზე, როგორიცაა უთანასწორობა და ომი, რომელთა საფუძველს სწორედაც ადამიანის ბიოფსიოლოგის თავისებურება წარმოადგენს.

გერტრუდა სტაინი „დაკარგული თა-

ბის“ ცნებას სწორედ იმ იღუზიებისა და რწმენისაგან განძარცვული ახალგაზრდობის მისამართით იყენებს რწმენა-თაც „მსოფლიო ომის“ ქარ-ცეცილი გამოირეს და ძალზე ადრე გააცნობიერეს ადამიანის უსუსურობა მოს წინაშე; მიმისა, რომელმაც გლობალური მასტაბები შესძინა ისეთ ცნებებს, როგორიცაა შუღლი და სიძულვილი, და რა გასაკირია, რომ სწორედ მოს შემდეგ იქმნება ოხალდ შენგალერის უსაზღვრო უიმედობით განმსჭვალული „ევროპის დაისიც“ და „საბრალო შეყვარებულთა მბის“ | ახალი ლიტერატურული კერძიებიც, უკვე იმ რეალიების საფუძველზე, რომელთა არსი სრულიად გამორიცხავდა ფინალში ყოვლისშემრიგებელი, გრინერი საწყისის—შექსირისეული კერძიას ჰერცოგის მაგვარი ახალი მოდიფიკაციის გამოჩენას. სამყარო, რომელმაც პირი შეკრა რ. როლანის, ე. პ. რემარკის, ე. ჰემინგუეის გმირების წინააღმდეგ, ანდა ადამიანის სულების ტოტალური დამონქიბის სისტემა, რომლის მსხვერპლად და განუყრელ ნაწილაკებად იქცევიან ე. ზამიატინის რომანის „ჩვენ“ გმირები, — გაცილებით უფრო შემთარავია კლანური ცრუწმენებისა და საგრძნეულო შერისგების სენით შეპყრობილ ფეოდალურ კერძაზე.

ჰემინგუეის „მშვიდობით იარაღო“-ს გმირებს ამის თაობაზე არავითარი იღუზიები აღარ გააჩნიათ. მარტიონისა და განწირულობის შეგნება თავიდანვე აღავსებს მათ. „მე და შენ ხომ ორნი ვართ დანარჩენების წინააღმდეგ, — ამბობს ქეთრინ ბარკლი, — ჩვენს შორის რომ ჩადგეს ვინმე, ჩვენ დავიღუპებით, ისინი დავიპყრობენ“. გააფთრებული მერქს ციონ სიკვდილის წინ შავ ჭირს მოუხმობდა მათ დასასჯელდა, ვისი შეღლიც მისი დალუპვის მიზეზიდ იქცა. ჰემინგუეის რომანში მის „ორეულს“ — არმიის საროცეკიპოში ათაშანებით დაავადებულ ხალვების ირონისტ რინალდოს კი უკვე თავისი ხვედრი ხაგსებით კახისხერ მიერად და ბუნებრივად ეხისგაბა, „ეხეა ხომ მოელი სამყაროც“. — მწარედ აღნიშნავს იგი. „სეპარატული ზავი“, რომელსაც ერთპიროვნულად დადებს რომან

ას პტვეკნი გმირი, რათა გაუქცეს სამყაროს სისასტიკეს, ვერ ისხნის მის სივეარულს ტრაგიული ხევდრისაგან. „სამყარო გველას უტეხაეს ქედს, — წერს პემინგუეი, — და ამის შემდეგ ბევრს მხოლოდ უფრო მაგარი ხერხემალი უხდება. მაგრამ მათ, ვისაც არ სურს გატყებს, იგი კლავს. კლავს ყველაზე კეთილგბასა და ყველაზე ფაქიზებს, კლავს ყველაზე მამაცებს — განურჩევლად. მაგრამ თუ შენ არც ერთი ხარ, არც მეორე და არც მესამე, შეგაძლია დარწმუნებული იყო, რომ შენც მოგკლავენ, მხოლოდ აქეარების გარეშე.“

ჯონ გილგუდის მიერ 20-30-იან წლები განსახიერებულ შექსპირისეულ გმირთა სახეებში ნათლად იკვეთება ომის შემდგომი ინგლისის „დაგარგული თაობის“ თვისებები. „თავის, რიჩარდ II-ს მან შთაბერა ხელივანის სნეული სული, — მხატვრის, რომელიც მახინჯ, უსულგული სამყაროში ცხოვრებისათვისაა განწირული“. მისა ჰამლეტი „ბრაზის აფეთქება იყო, ამბობი, რომელშიც ცხადად გაისმოდა 20-იანი წლების „განრისხებული ახალგაზრდას“ პროტესტი.<sup>11</sup>

20-იანი წლების ბოლოს „გარტელის“ ერთ-ერთი წევრის გასტონ ბატის მიერ დაგდებულ „ჰამლეტი“ „საუკუნეთა სიღრმიდან სცენაზე გამოიიოდა ყმაწვილა კაცი, რომელიც განიცდიდა თავისი ღროის დროის დრამას; განიცდიდა და, ამავდროულად, სვამდა იმ შეკითხვებს, რომლებიც მსოფლიო ომის გამოცდილების მქონე ახალგაზრდობას აწვალებდა“<sup>12</sup>.

„გაბოროტებული, ყველაფერში და-ვჰქვებული, წარსულის ღოგმებისა და რწმენათა უარმყოფელი ახალგაზრდა, რომელმაც ვერ ჰქოვა დადებითი იღეალი“ — ასეთად თამაშობდა „ჰამლეტის“ ბატის თანამოაზრე ჭორუ ფითოვევი და ამასთან მის მიერ დაღმტელი სპექტაკლის პირობით სცენურ გაფორმებაში განსაკუთრებით უხვამდა ხასს პირქვების ჰამლეტის გარემომცველი სამყაროს მტრულ გაუცხოებას და ამავე ღროს, მის ყოვლისმომცველ ძალაუფლებას.<sup>13</sup>

20-იანი წლებში პირველად უცი წაწეული შექსპირული სპექტაკლის „გრუბერული“ გათანამედროვების პრედასტანდა. ლონდონის თეატრ „კინგს შეუემიში“ ბ. ჯექსონისა და გ. ეილიფის მიერ დაგმულ სპექტაკლში, კრიტიკოსთა აღწერით, „ბავერლის უფლისწული“, სცენაზე სპორტულ კოსტიუმსა და გოლფებში გამოიიოდა... ბოლოზიუსი — ფრაქი, ხოლო აჩრდილია — გენერლის მუნდირში. დიდებულები ბრიჯე თამაშობდნენ, ხოლის ვისკის სვამდნენ. სცენის სიღრმიდან აქტორანქანების ხმა ისმოდა...<sup>14</sup>

და ამავე ღროს ამ ულტრათანამედროვე ჰამლეტისათვის უცხო იყო „მხატვრული ოცანან წლების“ სამყარო, რომელიც ომის დავიწყებას ცდილობდა. „მას ამოძრავებდა შურისგება გაზის იერიშში უაზროდ დალუბული, მოტყუებული და გაყიდული ადამიანების გამო. ამიტომაც შურისგების თემას განსაკუთრებული აღგილი ეპვა სპექტაკლში“,<sup>15</sup> — აღნიშნავს ა. ბარტაშევიჩი.

ჯონ გილგუდის ჰამლეტი ოცდახუთი წლისა იყო. ასეთივე ახალგაზრდა გახლდათ კოლინ ჰიიტ-ჯონსტონის ჰამლეტი ბ. ჯექსონისა და გ. ეილიფის სპექტაკლში და ორივე, მხატვრული ხახების გარეგნული ნახაზისაგან დამოუკიდებლად, თავისი თაობის ტკივილსა და იმედგაცრუებას გამოხატვდა. იმ თაობისა, რომელმაც საქუთარ თავზე განიცადა ახალგაზრდული იდეალების მსხვრევის მთელი სიმძიმე. თითოეული მათგანისაგან სავსებით ბუნებრივად გაიქცევებდა ჰემინგუეის რომანის გმირის, მათივე თანატოლის, ღეიტენანტ ჰენრიის სიტყვები: „აი, რითო მთავრდება ყველაფერი. ხიკვდილით. არც კი იცი, რისთვისაა ეს ყველაფერი. ვერ ასწრებ ამის გაგებას. უბრალოდ გადაგისვრიან ცხოვრებაში, აგისნიან წესებს და რეგორც კი გამოიგიჭერენ — მოგდავენ, ან როგორც აიმოს სულაც არაფრის გულისხვის მოგკლავენ, ან ხათამანგს შეგრიან რინალდოსავით. მაგრამ ადრე თუ გვიან, შენც მოგიღებენ ბოლოს... იჯები, ელოდე და მოგკლავენ...“

ამდენად ოციან წლებში ახალგაზრდობის განწყობილების გამომხატველ შექსპირულ გმირად, რომელმაც საკუთარი გამოცილების საფუძველზე გაიაზრა, რომ „სამყარო – საპირობილეა“ და გაცნობილია ამ ცნების მოვლი საშინელება, კვლავ პამლეტი რჩება.

შეიძლება ითქვას, რომ ამ სახეს აქამდე არასოდეს არ გაუძლია „მარადიულობაზე“ ახეთი გამოცილისათვის, როგორც იმ წლებში და სხვა შექსპირული პერსონაჟი ძნელად თუ შეედრებოდა მას იმ სიზუსტეში, რომლითაც მისი სიტყვები, აზრები და შეგრძნებები აღწევდნენ ადამიანთა სულებში. იმ ადამიანთა, რომელთა „ზნეობრივი ყრმობა“ დამთხვე „ბეჭ ეპოე“-ს – მეოცე საუკუნის დახასწყისის შევენიერ ეპოქას, სულიერების აქამდე არნახულ აყვავებას, მომავალი ყოფიერების სიმტკიცესა და შეურყევლობას რომ პირდებოდა.

იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვარუეთის ინტელიგენციამ მ. ჩეხოვის პამლეტი (1924 წ.), მოწმობს გამოთქმას. ჩერსონსია და პ. მარკოვის სტატიიდან: „სპექტაქლი გამსჭვალული იამყაროს ნგრევის შეგრძნებით“ არანაკლებ მეტყველია ამ ფრაზაზე რიფიციალური კრიტიკოსის კ. ბლიუშის რეაქცია: „მარქსისტმა უნდა იცოდეს: ისტორიული პოზიციებიდან ჩამოგდებული კლასის იდეოლოგებს ყოველთვის ეჩვენებათ, რომ დედმიწა ორად გაიპო“<sup>16</sup>.

რომელისა და ჯულიეტას ფამი – ახახონ თავიანთი თანატოლების ტრაგედია – ჯერ არ დამდგარა. თაიროვისათვის ისინი „მარადიული მიჯნურები“ არიან და თუმცა იგი ცდილობს პიება მეოცე საუკუნის ადამიანთა ცნობიერებას აზიაროს, მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ არ ისახავს მიზნად თანამედროვეობაში მიმდინარე კრობლებებს დაუკავშიროს პიება, რასაც იგი რამდენიმე წლის შემდეგ განახორციელებს, მიმართავს რა მეორე შექსპირულ ტრაგედიას „აზრონის და კლეოპატრას“ (სპექტაქლი „ეგვიპტის დამები“). პირიქით, მთელი მისი ძალისხმევა იმისენაა მიმართული, რომ სრულიად მოსწყვიტოს პიება მის სოციალურ, ფსიქოლოგიურსა და ყოფით

საფუძვლებს („განა შეიძლება ასე უკუნის ადამიანის ცნობიერებას აღიქვას... თითქოს რომეოსა და კლეოპატრას მხოლოდ იმ მიზეზით არ შეეძლოთ თავისუფლად და ხალისით პყვარებოდათ ერთმანეთი, რომ მამა კაცულები და მამა მოხტეები ერთმანეთის ემტერებოდნენ“)<sup>17</sup>. რათა შექმნას „ტრაგიკული სკოტიი“, რომელშიც აზრაგისახური ძალები წინააღმდეგობათა „მარქსიზმად“ წარმოგვიდგინდნენ და მათი გადაღახვისას რაც შეიძლება მეტი სისხვით გამოცვლინდებოდა რომეოსა და ჯულიეტას გრძნობათა მრავალწახნაგოვანი ბუნება.

სპექტაქლის ხაზგასმულმა ინტიმისტრობისა ცნობილი შექსპიროლოგის მ. მოროზოვის მძაფრი საყვედური გამოიწვია. თაიროვის დადგმა, რომელსაც რევოლუციამდელი ესთეტიზმის გადმონამთი უწოდა. მან „დრამატურგიული აზრის დამაბიჯებად“ აღიქვა, რამეთუ სპექტაქლში, მისი აზრით, მთლიანად ამოგდებული იყო გმირების დაღუპვის უმთავრესი მიზეზი – ფერდალური შედლის მოტივი. – და მათი სიკვდილი მხოლოდ „ბრძა შემთხვევითობის“ შედეგად იყო წარმოდგენილი. „ხამგლოვიარო ფინანსი, – პკითხულობრივი მის სტატიაში, – მხოლოდ ბედისწერის კოვლის შემძლებაში გვარჩენებდა“<sup>18</sup>.

30-იანი წლების დახასწყისში კ. მარჯანიშვილმაც მიზნად დაისახა მიერაცხვებინა „რომეო და ჯულიეტა“ მეოცე საუკუნის ადამიანის ცნობიერებისათვის, მაგრამ პიების თანამედროვე გააზრებისადმი მისი დამტკიდებულება მკეთრად ემთჯნებოდა თაიროვისას. თუკი მისეული რეჟისორული მონტაჟის<sup>19</sup> მიხედვით კიმუჯელები, მარჯანიშვილის ხევაციები არამც და არამც არ უკავშირდებოდა არც პიების ფინრობრივ ცვლილებას (პიება გადაწყვეტილი პერნება, როგორც ტრაგედია), არც მთავრის გმირების ხახების გათანამედროვეობას (მარჯანიშვილისთვის – ისევე როგორც თაიროვისათვის, ისინი „მარადიული შეგვარებულები“ არიან). პიების გუამურები, ტექსტის გადაადგილება, ჩანართები და განმარტებანი მოწმობს;

რომ რეგისორის მთავარ ამოცანას შეადგენდა გმირებსა და მათ გარემოცვას შეირის ტრაგიკული კონფლიქტის წარმოჩენა მთელი მისი სიმწვავით და ამისათვის სწორედ იმ ვერობას სცენური საბის შექმნა, რომელშიც შესაძლებელია ერთდროულად აღმოცენდეს რომეოსა და ჯულიეტას ნორჩი, სუფთა გრძნობაც და მათი მშობლების დაუყებელი შედლიც. თაიროვისაგან განსხვავებით, მარჯანიშვილისათვის ტრაგედიას „მტრული ძალები“ არ არიან მხოლოდა შეკვარებულთა ურთიერთსწრავის გზაზე აღმართული ე.წ. „თეატრალური შლაგბაუმები“. როგორც ჩანს, რეგისორი ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ისახავდა ამ სამყაროს დეტალურ დახასიათებას, მისი „საფუძვლების“ სიმტკიცისა და შეურყევლობის დემონსტრირებას, მის არეალში მოხვედრილ ადამიანთა ბედზე, მოვლენათა მდინარებაზე მისი ზეგავლენის ძალის გამოაშკრავებას. მარჯანიშვილს განზრაბული ჰქონდა ვერონაში გამეფებული ატ-მოსფეროს არის თავიდანვე საგრძნობი გაეხადა. სპექტაკლი უნდა დაწყებულიყო არა პროლოგით, რომელშიც ქოროპეის შინაარს გადმოგვცემს, არამედ კაპულეტის მსახურების – სამსონისა და გრეგორის გამოჩენით, რომლებიც მორიგი აყალმაყალის საბაბს ეძებენ. რეგისორის ჩანაფიქრით მაყურებელს მათში უნდა ეხილა პირწავარდნილი ავაზაკები და მოძალადენი – ჭეშმარიტი წარმომადგენლები იმ გარემოსი, რომელმაც წარმოშეა ისინი. თუკი შექსპირის მიხედვით ჩხუბის წამოწყებამდე მსახურებს შორის იმართება ბაასი, რომელიც ცხადყოფს მათ სილაჩრეს, ბაქიაობისადმი მიღრეკილებას, მარჯანიშვილისეული მონტაჟის მიხედვით ეს აღამიანები არ საჭიროებენ ერთმანეთის შეგულიანებასა და წაქეზებას. მათი გამოჩენის მიზანი თავიდანვე ნათელია და დაწვრილებით კომენტარს არ საჭიროებს. მსახურები თავიანთ ბატონებს „თამაშობენ“. მათი დაღლოვებიდან მარჯანიშვილმა მხოლოდ ნაწილი დატოვა, სადაც მსახურები ეძებენ საბაბს; რომე-

ლიც მოწინააღმდეგებს აიძულებს პირველმა აღმართოს მახვილი.

ნიშანდობლივია, რომ ამ „მოწმეულის“ მიხედვით მონტეკი და ჯულიეტუ პირველ სცენაში არ ჩიდებიან. ეს შესაძლოა გავისხესხოთ, რომ „რიჩარდ III“-ის სცენური ვარიანტის დამუშავებისას პიესის პირველი სცენები რეგისორმა თავისებურად გადაადგილა: ამოიღო რიჩარდის მონოლოგი, სადაც იგი მაყურებლის წინაშე „წარსდგბა“, და ამით განიზრახა „ემზილებინა“ თანამიმდევრული სცენური „თხრობის“ გზით მეფის ქმედებანი, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებანი. ასევე „რომეო და ჯულიეტას“ სცენურ ვარიანტში ვერონის ტრაგედიის მთავარ დამნაშავეთა გამოჩენას წინ უსწრებს. სცენები, რომლებშიც ნათელ გამოხატულებას პოვებს მათი საქმენი.

აქედან გამომდინარე ვერონის მთავრის რისხვა და აღშფოთება ახალ მნიშვნელობას იძენს. პირდაპირ ადრესატებს მოკლებული იგი სიცარიელისადმია მიმართული, და ამაში სიმბოლიზებულია ვერონის უმაღლესი ხელისუფლების უსუსურობა, მისი უუნარობა, რაიმე შესცვალოს ქალაქის ცხოვრებაში.

„მონტაჟში“ თვით რომელც თავიდან სავსებით ბუნებრივად ეწერება მის გარემომცველ სამყაროში. იგი მოულოდნელად ჩნდება, მეგობრებისა და ნათესავების დიალოგებში წინასწარი წარდგენის გარეშე უფრო მეტიც, რომელს გამოჩენამდე მის შესახებ ნათესავი ერთ-ადერთი ფრაზა თვით რეგისორის მიერაა ჩაწერილი ტექსტში და სრულებოთაც არ ადასტურებს მთავარი გმირის მშვიდობისმოვრულ განწყობას. ეს ფრაზა მერყეციონ უნდა წარმოოთქვა და იგი ასე უდერს: „სად არის რომეო, აქ ჩხუბია და ის არ არის!“

როგორც ჩანს, რეგისორს სურდა მაყურებელს რომეოს სახეში დაენახა ადამიანი, რომელიც ისევეა შესისხლ-ხორცებული ამ გარემოს, როგორც ტიბალტი და მერცუციო, რაც შემდგომში, ალბათ, უფრო ნათლად გამოავლენდა მისი გრძნობის კეთილშობილურ ზეგავლენას: გრძნობისა, რომელმაც არა

მხოლოდ ამაღლა იგი გარემომცველ სინამდვილეზე, არამედ აიძულა ამხედრებულიყო მის წინააღმდეგ.

კურონას სცენური იერის შექმნაში რეჟისორი განსაკუთრებულ ადგილს უმომადა კაჟულეტას. ტრაგედიის ამ პერსონაჟის ბოროტებულობა, თვალთმაქცობა, ზენობრივი საბეცე რეჟისორის მიერ განსაკუთრებით მკაფიოდ იყო გამოაშვარავებული. ასე, მაგალითად, მეჯლისის სცენაში, როდებაც იგი ამოშმინებს ტიბალტს, კუბნება: „(ჯერ) არ მსურს, რომ ჩემს სახლში მას აწყენიონ“.<sup>28</sup>

სიტყვა „ჯერ“ (იორა) ტექსტში მარჯანიშვილის მიერაა ჩამული, რითაც მან განსაზღვრა ამ „თხოვნის“ ინტონაციური და აზრობრივი კლიფერი, გამოაკლინა ის ხოციალური „საფრთხე“, რომელიც იმაღლება კურონის ერთ-ერთი კლანის მამამთავარში, გამოაშვარავა მისი უნარი, ოსტატურად შენიდოს თავისი ჩამდვილი სახე მოჩვენებითი „რესპექტაბელობის“ ნილაბქეშ.

მონტაჟის მიხედვით რეჟისორის ზენობრივი პრიზია კუველაზე ნათლად სპექტაკლის ფინალური სცენის გადაწვეტილისა იხსნება.

სავარაუდოა, რომ სპექტაკლი ორ მტრულ ოჯახს შორის ზავით კი არ უნდა დამთავრებულიყო, არამედ ესკალას მონოლოგში მათი სახალხო გაკიცხვით: მათ ედებოდათ მძიმე ბრალდებად შეკვარებულთა დაღუპვა და ასეთ გადაწყვეტაში თითქოს უარყოფილი იყო შემრიგებლური ფინალით ამ ტვირთის „შემსუბუქების“ უკველგვარი შესაძლებლობა.

\* \* \*

„მე მსურს ტრაგედიის დახაწყისშივე ვაჩვენო ამბოხებით მოცული, სიძულვილის ძალით ორ მტრულ ბანაკად გაყოფილი კურონა. საჭიროა, რომ რომელისა და ჯულიეტას სიყვარული ჭემარიტად ტრაგიკული ჩანდეს“, – წერდა კორე ფითოვე 1923 წლის ზაფხულში თავის ძეველ მეგობარსა და მეცენატს ფაქ ებერტოს.<sup>29</sup>

თავისი ჩანაფიქრის ხორცებებმა მან მხოლოდ 14 წლის შემდეგ შესძლო.

50 წლის ახაკში მის მიერ შესრულებული რომერ „ხაუკენის კველი სავართ“ შეძრიუნებული აღამიანი იყო მუდაზღვებისა და ფითოვეას ჯულიეტას სანუტეც აღინებოდა ტანჯვის ანარეკლი. ხაკუთარი ხევდის წინააღმდებრიდა. „ეს იყო ჯელიეტა, რომელსაც უკვე ხანაზი ჰქონდა, თუ როგორ თამაში ნორას“, – წერდა მასზე ანიუტა ფითოვეა წიგნში – „ლუდმილა – დედაჩემი“. რომელსა და ჯელიეტასთან ერთად „ხპექტაკლის მთავარი მოქმედი პირი ხდებოდა კურონა. ხწორედ იგი ასრულებდა კველაზე ქმედით როლს რეჟისორის ხერთო ჩანაფიქრის გახსნაში – „ეჩვენებანა ხიყმაწვილის, დიადი ხიყვარულის, ადამიანურიბის დაღუპვა სამყაროს დაბაზგრელი, დანაშაულებრივი შეულლის მიერ; სამყაროს, რომელშიც მკვლელობა ნორმა და ცვეულა“.<sup>30</sup>

წარმოიდგენდა კი ფითოვე, რამდენად წინაწარმეტყველურად გაიჭდერებდა ეს მისი ჩანაფიქრი ახალი აოწლეულის დამდება ისევე როგორც იმ გაქანებასა და მასტრაბებს, რომელსაც ამ აოწლეულში შეიძებნდა „სამყაროს დაბაზგრელი“. „დანაშაულებრივი შეელის“ ცნება.

და კელავ ლიტერატურისა და ოპერის ერთ-ერთ კველაზე საშინელ ბრალებად – სამყაროსადმი, რომელშიც „მკლელობა იქცა ნორმად“, ხიყვარულის დაღუპვის ოქმა ხდება. „რომელ, ჯელიეტა და წყვდიდა“ უწინდა თავის მოთხოვნას იან ორჩენაშეგმა, რამეთუ პავლესა და ებრაელი ესთერის ხიყვარული ისეთივე ძალითა და ხულიერიბოთა აღსავსე, როგორც შექსპირის უკული ტრაგედიის გმირების. მათი კერონა – ომია, ოკუპირებული ქალაქი, ხადაც ყოველდღე გამოაგრძევს დახერხეტილოს ხიებს. ესთერის შეფარება სახლში, ხადაც ათეულობით მოისახლეა, ხადაც ადამიანები ერთმანეთს ვერ დაემატებან, ხაკუთარი თავის, ახლობლებისა და ხოთხავების ხაფრთხეში ჩაგლებას ჩიშნავს. მაგრამ პავლე თავგანწირვით იბრძება თავისი ხიყვარულის მოწყვეტილობისას, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ესწრავებას გამოგლოვანს იგი წყვდიადს; მაგრამ წყვდიადი

ქლიკრი აღმოჩნდება – ესთერი იღუპება...

„საბრალო შევვარებულთა“ შესახებ „სევდიანი ამბის“ თემაზე მრავალრიცხოვანი ვარიაციები იმის დასტურია, თუ რაოდენ მრავალსახოვანია ვერობა. მის ფატალურ დამძუპევლ ძალას შეუძლია გმოვლენა არა მხოლოდ ომის ქქსტრემალურ სიტუაციებში, როდესაც ბოროტებისა და ძალადობის მსხვერპლა მილიონობით ადამიანი შეიქმნება; იგი ჩაბუდებულია ადამიანური ყოფიერების ყველდღიურობაშიც, სულიერ სიჩრუნეში, გულგრილობაში, მიმდინარეობის უსულგულობაში ადამიანთა უზარობაში, – გაუგონ ერთმანეთს. უ ანუისათვის ამ თემის გახსნის სიუკეტურ საფუძვლად იქცა ორფეოსის მითი – სიკვდილისაგან გამოხსნილი და კვლავ დაკარგული სიყვარულის შესახებ.

ანუის პიესის „ერთიდიეკს“ გმირების სიყვარული აღმოცენდება და იღუპება ანტიური სამყაროს „დასრულებულ რეალობაში“. სადგურისპირა რესტორნის შევითლინე ორფეოსისა და მისი შევვარებულისათვის სიყვარული ყოფიერების უხამობისა და ჭუჭყისაგან ერთადეკრით თავშესაფარია. ორფეოს ეჭვი არ კარება ევრიდიკეს კრისტალურ სიწმინდეში, მაგრამ მისი წარსული, – წარსული პროვინციის მსახიობისა, რომელიც იძულებულია შეეგულს საცოდავ არსებობას უიღბლო დედისა და მისი შედამეუმ ცვალებადი საყვარლების საზოგადოებაში, – სასტიკად ამსხვრევს ორფეოსის იღუზიებს. იგი სტოვებს ევრიდიკეს და იგი სახოწარევეთილი ვარდება აკტობუსის ბორბლებქვეშ. სიკვდილის მოციქული – კომივოიაური ანრი პირდება სატრფოს დაბრუნებას, თუკი იგი ევრიდიკეს აღარასოდეს არ კახსენებს წარსულს. მაგრამ კვლავ შეხვდება რა ევრიდიკეს, ორფეოსი ტეხს პირობას და ახლა უკვე სამუდამოდ კარგავს მას. ახლა მხოლოდ სიკვდილს შეუძლია მათი შეერთება. „სიყვარული შევენიერია. მხოლოდ იგი ქმნის ჭეშმარიტ ატმოსფეროს სიყვარულისთვის“. – ამბობს ბატონი ანრი და ორფეოსი არჩევს სიკვდილს.

სიკვდილი – თავისუფლების პოეტუ-

რი სახება ანუის შემოქმედებაში მარტოდენ ანტიური სამყაროს „დასრულებული რეალობის“ ჩარჩოებში აღმოცენდება. იმავე აზრს შეიცავს 1946 წელს დაწერილი პიესა „რომეო და უანეტი“. სიყვარულის განწირულობის თემა სათაურშივეა გაცხადებული.

XX საუკუნის შუაწლებში „სიყვარულის ამბავის“ დაკავშირება ორი ახალგაზრდა ვერონელის ტრაგიკულ ბედთან უნივერსალური სიტუაციის ხასიათს იძენს და ადასტურებს სიყვარულსა და ცხოვრებას შორის არსებული კონფლიქტის მარადიულობას. ცხოვრება, რომელსაც ირჩევს უ ანუი ფრედერიკისა და უანეტის სიყვარულის ფონად, ურთიერთსიძულვილისა და მუხანათობის სულით გაუღენთილ ვერონაზე ნაკლებად დამძუპევლი როდია. ეს ცხოვრება მომაკვდინებელია, უპირველეს ყოვლისა, თვითი ჩვეულებრიობით, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს მეამბოხე უანეტი. მას არ სურს შეურიგდეს წინასწარ დაგეგმილი ყოფის სიცარიელეს. „ანუის პიესებში, – წერს ზინგერმანი, – პერსონაჟები იყოფიან მაქსიმალისტ-რომანტიკოსებად, რომლებიც მოწიდებული არიან თავისუფლებისაკენ შეედრებელი სწრაფვა განახორციელონ და ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის განწირულ კომპრომისულ ადამიანებად. მთავარი გამყოფი ხაზი გაივლის... მათ შორის, ვინც საზოგადოებას უთხრა „დიახ“ და ვინც თქვა „არა“.<sup>22</sup>

ა პიესში<sup>23</sup> თანხმობას საზოგადოებას უცხადებენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ომი გადაიტანეს, შესძლეს სიცოცხლის შენარჩუნება და არ გააჩნიათ ცხოვრებისადმი დიდი მოთხოვნილები, ელოლიავებიან იმ პატარა სიამოენებებს, რომლებსაც ზოგჯერ თავაზობს მათ სინამდვილე. ყველაფერი ეს განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება უანეტის მათის სახეში. იგი ისევე როგორც ორფეოსის მამა „ევრიდიკეში“, უკიდურესად ეკონისტი ადამიანია. შვილთა ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები არაფრით არ შეეხება მის გულს. ამასთან იგი არ არის მოკლებული თა-

ვისებურ მომხიბდვლელობას. მისი უშრეტი თპტიმიზმი, გარემომცელო აზრა-სადმი სრული გულგრილობა რაღაც სი-მატიის მაგარსაც კი აღძრავს მის მი-მართ, მაგრამ არსებითად — იგი ყვე-ლაზე ჩვეულებრივი „საშუალო“ აღ-მიანია, რომლისთვისაც უმთავრესია არაფერი შეიცვალის ცხოვრებაში, რა-თა მან სამუდაოდ შეინარჩუნოს არსე-ბობის ჩვეული წესი: იცხოვოს სხვის ხარჯზე, იარის ბისტროში, იფიქროს მხოლოდ, სახიამოვნო თემებზე.

„უფროსების“ ამ სამყაროს, რომე-ლიც ცხოვრებასთან სრულ თანხმობას გულისხმობს, თავისებურად მიეკუთვნე-ბიან თვით ფრედერიკი და მისი საცო-ლე ჯულია. მათი ოცნებები და მისზები ადვილად მისაღწევია: ქონდეს შენი სახლი და ბაღი, გაჩინო ბავშვები, ბეჯითად იშრომო, ღირსეულად უზრუ-ნებელი სიბერე. უანეტთან შეხვედრა კი, მოულოდნელად მოზღვავებული სი-ვარული — დაუკაბელი, ბრძა. ყოვ-ლისმიმტევებელი (რამეთუ ორფეოსი-საგან განსხვავებით უანეტის წარსული ტვირთად არ აწვება ფრედერიკს), — მის სამომავლო გეგმებში არაფერს არ ცვლის. იმ სახლში, რომლის აგებაც მას სურს, იმ ბაღში, რომელსაც იგი გა-აშენებს ყველაფრის მმართველი ამჯე-რად მისი საყვარელი მუელლე იქნება მაგრამ უანეტი სხვა რჯულის ადამია-ნებს მიეკუთვნება: ამ სახეში ანუ აგრ-ძელებს ანტიგონესა და ევრიდიეს ხაზს — „ახალგაზრდა მაქსიმალისტებისა“, რომლებიც მთელი თავისი არსებით ეწ-ინაალმდეგებიან „უფროსთა“ სამყაროს მიერ თავსმორცეულ „წესრიგს“. უანე-ტის მოუწესრიგებლობა, ფუქსავატო-ბა, ცვალებადი ხასიათი — ყველაფრი ეს გაუსახურებული და „აწყობილი“ ცხოვრების წესიადმი თავისებური გა-მოწვევაა. ამ სამყაროში ყველაფერი მის ჯინაზეა, თვით სიყვარულიც: მისი სა-ტრფო ხომ სხვას ეძუთვნის, — და ამ თავის სიყვარულში იგი არავის ინდობს, ყველაფერს გადააბიჯებს, თანაგრძნო-ბასც კი. მას არ ეცოდება ჯულიაც კი, რომელიც თავის მოკვლას შეეცდება, ვინაიდან უანეტის სიყვარული ფრედე-

რიკისადმი არ გულის არავითარ წინა-ლმდეგობებსა და საზღვრებს. მატრამ „ანუისათვის ახალგაზრდებს უზრუ-დია იმაში მდგომარეობს, რომ მათ იც-ხოვრეს იმ მომენტამდე. როდესაც სიყ-ვარულმა აამაღლა ისინი და შემდგომ-შიც უნდა გაავრძელოს ცხოვრება ამავე სამყაროში და განიცადოს მათ გარშემო არსებული გარემოს ზემოქმედება<sup>24</sup>, ანუ შეეგულ მას, ჩაიძირონ იმ ყოფის პროზაში, რომელიც უცილობელ დალუ-კვამდე მიიფეხნ მათ სიყვარულს — და-ანურილმანებს და დამუკრებს.

განეტი, ანუის ახალგაზრდა გმირუ-ბისათვის დამახახიათებელი წინახწარ-განჭვრეტის უნარით, წინდაწინ აცხო-ბიერებს ფრედერიკთ ულრუბლო ბეჭ-ნიერების შეუძლებლობას. მან იცის, რომ არ ძალუდს ხავუთარი არსების შე-ცვლა: „ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე შემიძლია მოგატყუოთ, როგორც სხვების ვატყუებდი... ხოლო თქვენ, როცა ნა-ხავთ, რომ ცოტა წავიტირე, მაატრიცხო კიდეც შემდგომ ტყუილამდე. მე მოვედო, რათა ეს მეთქვა თქვენთვის... ახლა მე ისეთივე სუსტი და საბაგელი კარ, რო-გორიც ადრე. მე კვლავ კიქეცი სიცრუ-ელ, დაუდევრობად, სიზარმაცედ... და მე არ შემიძლია თქვენი ცოლი ვიჟო. მაგ-რად თუკი თქვენ გხურო, ჩვენი სიყვარუ-ლი მარადიული იყოს, ერთადერთი რაც შემიძლია — თქვენთან ერთად სიკვდი-ლი“.

ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც უანეტია, არსებობს მხოლოდ სიყვარუ-ლის „აღმაფრენის წამები“. ყველაფერ დანარჩენს „მნიშვნელობა არა აქვს“. მხოლოდ „წამის შეკონვებით“, სიკვდი-ლში უკვდავების მოპოვებითა შესაძ-ლებელი სიყვარულის შენარჩუნება. და თუკი რომეოსა და ჯულიეტას სიკვდი-ლი საბედისწერო შემთხვევითობათა გადაჯაჭვის შედეგია, უანეტი თვითონ-ვე ირჩევს თავის ხევდოს. ზღვის მოქ-ცევა გაიტაცებს უანეტს და მასთან ერ-თად იღუძება ფრედერიკიც. რომელიც მის გადარჩენას ეცდება. ამ სცენის ქონ-ტრასტულ ფონს ქმნის უანეტის მამის მოქმედება ამგვარ სიტუაციაშიც კი იგი უძლურია გამოერთოს განზე მდგომი

დამკვირვებლის როლს და თვითის უმოქმედობის გამართლებას სიბერის უძლურობით ცდილობს. და მაინც ამ ტრაგიკულ ვითარებასაც კი, მისი ვაჟიშვილის თქმით, იგი სპორტული კომენტატორის ენთუზიაზმით აფასებს.

ერთადერთი, ვინც ფხიზლად აღიქვამს მოვლენებს, ფანეტის ძმა — ლუსიენია, დასავით სიყვარულით განაწარმები: იგი ცოლმა მიატოვა და მთელი პიესის განმავლობაში წერილს ელის მისგან, ამასთან ამაღლ ცდილობს თვითის განცდები ნათამაშევი ცინიზმისა და თვითირონის ნიღაბქვეშ დამალოს.

აცბობიერებს რა ფრედერიკისა და ფანეტის სიყვარულის განწირულობას. მისი დასასრულის კანონზომიერებას, იგი არც კი ეყდება გადაარჩინოს შევეარებულები. უფრო მეტიც: ეს სავსებით „მიწიერი“ არსება პიესის ფინალში, ბატონი ანრის მსგავსად („ევრიდიკე“) მოულოდნელად შეამავლის როლში გვევლინება მოკვდავთა სამყაროსა და მათი ბედის განმასხლვრელ ძალებს შორის. „ქმაყოფილი ხარ? — ეკითხება იგი ღმერთს. — ყველაფერი ხომ სწორედ ისე მოხდა, როგორც შენ გქონდა ჩაფიქრებული“.

ლუსიენის სუბარს ღმერთთან ფოსტალიონის ყვირილი წყვეტს. მან ლუსიენს სანუკარი წერილი მოუტანა და ისიც გაბეჭდინერებული სრულიად ივიწყებს ახლახან გათამაშებულ დრამას. მისი ცხოვრება გრძელდება და, როგორც იქნა, თავის საზრისს იძენს. ფანეტისაგან განსხვავდით, იგი ხომ მაინც დამაინც მომთხოვნი არ არის: მას აქვს უნარი გაუგოს და მიუტევოს და ამასთან დარწმუნებულია, რომ „სევდიანი სიყვარულის“ გარდა ცხოვრებაში არსებობს რაღაც სხვაც, რაც არანკლებ აღამაზებს არსებობას: მაგალითად, წიგნები, ბუხარში მოგზაურებული ცეცხლი, გამჭვირვალე ჭიქებში მოელვარე ღვიანო, ქარისგან გატყორცნილი ხეები. განაყველაფერი ეს არ დარს იმად, რომ ადამიანია იცოცხლოს? „სად არიან ბავშვები?“ — მოულოდნელად ეკითხება ფოსტალიონი, „აქ აღარ არიან ბავშვები“, — პასუხობს ლუსიენი, მეგობრუ-

ლად წამოკრავს ფეხს და გარეთ გარსტუმრებს.

ერთადერთი გამოსავალი, შესტენებულ შეუძლია შესთავაზოს ანუმ თავის საყვარელ გმირებს, არის სიკვდილი. სიკვდილი, რომელიც სათუთად ინახვს ყველაფერ საუკეთესოს, რაც კი დამალულია სიცოცხლეში. სიკვდილი, რომელიც გაძლევს შესაძლებლობას არ შეაძიგო „უფროსთა“ სამყაროში, სადაც დაალატსაც კი პატიობენ და საკუთარი გამოცდილებით იციან, რომ „ყველაფერი წარმავალია“. ანუის „შავი პიესების“ ღრმა პესიმიზმი ტიპიური და სავსებით გამართლებულია იმ შემოქმედისათვის, რომლის გამოცდილება მსოფლიო ომის საშინელებებსაც იტევს და ადამიანებზე, მათ გრძნობებსა და ქცევებზე უწყვეტ დაკვირვებასაც. ამ დაკვირვების შედეგი ადასტურებს. რომ შეუფერხებლად სუსტდება ცალკეული პიროვნების წინააღმდეგობა უმრავლესობის მიერ დანერგილი ზეობრივი და სოციალური ნორმების, მასობრივი ცნობიერების მიმართ.

მაგრამ ამასთან მისი პიესები მოუწოდებდა შეიღებს მამების მიერ დანერგილი სიმშევიდის, შემგუებლობის კულტის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის“, აქტიური ურთიერთდაპირისპირებისაკენ. მარადიული ბავშვობის სამყაროში შეყოვნებული მისი გმირი ქალები 50-იანი წლების განრისხებული ახალგაზრდების პირდაპირი წინაპრები არიან. მაგრამ კიდევ უფრო საცნაურია მათი სიახლოევე 60-70-იანი წლების მიჯნაზე ამბოხებულ ახალგაზრდობასთან, გოველნაირი ტოტალური სისტემების წინააღმდეგ გალაშქრებულ სტუდენტობასთან, პიპების მოძრაობასთან, რომლის მიმდევრებიც საყოველთაო თანასწირობისა და ბედნიერების უტოპიას ქადაგებდნენ, მთელი თავიანთი იერითა და ცხოვრების წესით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ადამიანის სრული სულიერი და ფიზიკური თავისუფლების იდეა.

საგულისხმოა, რომ სწორედ ამ წლებში შექსპირის ტრაგედია კელავისა კუთროებულ აქტუალობას იძენს.



მაგრამ ამჯერად ამ აქტუალობას არა მხოლოდ სიყვარულისა და სიკედილის პრიბლების „არამედიულობა“ განსაზღვრავდა, არამედ ორი, თანაბრად კონფლიქტური, შეურიგებელი წინააღმდეგობებით აღნიშნული ეპოქის ატმოსფეროს თანხვედროლობა. „ჩვენი დრო, — წერდა ძეფირელი, — ხაოცრად გავს იმუქოქას, რომელიც შექსპირმა აღწერა; დრო, რომელიც განთავისუფლდა შეუსაუკუნების ტვირთისაგან, ხმა აღიმაღლა მრავალი პრიბლების შესახებ, ნდობა გამოუცხადა ახალგაზრდობას...“ „მე მინდოდა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობას ფილმის გმირებში საკუთარი თავი დაენახა, ისტორიული პარალელი გაევლო XV საუკუნის შეახანს კერინაში მომხდარ ბობოქარ მოვლენებსა და დღევანდელობას შორის“<sup>25</sup> ამ ამოცანიდან გამომდინარე ძეფირელი შექსპირის სეული გმირების 60-იანი წლების ახალგაზრდობასთან სრულ გაიგივებას ცდილობს. მთავარი როლების შემსრულებელთა — თხუთმეტი წლის ოლივა პასეისა და ჩვიდმეტი წლის ლეონარდუანტინგის — მისეული არჩევანი განპირობა არა მსახიობების სცენურმა გამოცილებამ, ან შექსპირის ტექსტის დეკლამირების უნარმა, არამედ ახაკობრივმა სიახლოვემ, ხასიათის თავისებურებათა დამთხვევამ. „მსახიობებმა ის შესძინეს ფილმს, რასაც მათგან მოვლოდი — ახალგაზრდობის მთელი სრულყოფილება და არასრულყოფილება“<sup>26</sup>

შექსპირის პიესის საუკუნეველზე ძეფირელიმ დადგა ფილმი მისი თანამედროვე სამყაროს პრიბლებზე, მაგრამ მის გააზრებაში არსებითი იყო ფილმის მთელ მხატვრულ წყობაში გატარებული აზრი იმის შესახებ, როგორ აღმოჩნდება უმცროსი თაობა უფროსთა ცხოვრების წესის მემკვიდრე, როგორ გაუცხობიერებლად გაითავისებენ ახალგაზრდები მაგების სისახტიკეს, — კერც კი ამნევენ, რომ უკვე სისხლში გაუჯდათ დაუნდობლობა, რომელიც მხოლოდ შესაფერის დროს ეღის. რათა უერად ამოხეტქოს ზღვარგადასულ, ბრამა ხისხლისლვრაში, და ამ მსხვერპლს გვარ-

წენული შურისძიების მოვალეობითაც კი კერ გამართლებ.

აღ. ლიპკოვი თავის გამფლებულები „შექსპირული ეკრანი“ ანალიზით უკავებს რა 60-იანი წლების შექსპირის ტდგედიების კინოკურსიებს — ჯერომ რობინსისა და რობერტ უაიზის („ვესტსაიდის ისტორია“), ანუერ კაიდას და სხვათა დადგმებს, აღნიშნავს — კველდების ფილმები ერთად მეტყველებები იმაზე, რომ საუკუნის ტრაგედიები ხულ უფრო ხშირად ახალგაზრდების ტრაგედიებად იყიდთხება. როგორც მბრძებენ, მოძიგალი მათ ეკუთვნით, მაგრამ სწორედ ახალგაზრდობა კულტურული მძაფრად აღიქვამს იდეალების მსხვრევას, კონიერების კრიტერიუმთა მომღას, დროის სისხლიან კონფლიქტებს და მათ დღევანდელობას სწორედ ეს რეალიები ქმნის“<sup>27</sup>

კრასნია პრესნიაზე ახალგაზრდულ თეატრ „ფაფულ“-ში ვიაჩესლავ საცეკვებეკმა 1976 წელს დადგა „რომელ და ჯულიეტა“, რომელშიც მოავარ როლებს 14-17 წლის მოზარდები ასრულებდნენ. სპექტაკლი ოთხ სურათად — ოთხ დღედ იყო დაყოფილი, და ყოველი დღე მოქმედებაში რომეოსა და ჯულიეტას ახალ შემსრულებელთა ჩართვით აღინიშნებოდა. ხასიათით, ტემპერამენტით, ნიჭით განსხვავებული ნორჩი მსახიობები თანაბრაო გულწრფელობითა და თავდავიწყებით განახახილებდნენ თავიათ ოცნებას მარადიულსა და უსაზღვრო სიცარიულზე. თითოეული მათგანი თავისი შესაძლებლობების, ჯერ კი დევ ჩამოუყალიბებელი გრძნობების, განუმტკიცებელი ხმების უკიდურეს ზღვარზე თამაშობდა. ისინი არ განახახიერებდნენ: „მარადიულ შეგვარებულებს“ — მათი ემოციური და ცხოვრებისეული გამოცილება ძალზე მცირედი არასრულყოფილი იყო მათხასის. მაგრამ მრავალსაუცხოვანი სიძეველის ტრაგედიის „დასრულებულ რეალიზაში“ მათ შემოჰქმენდათ თავიათი ახაერბრივი (რომელიც სრულებით ემთხვეოდა შექსპირის გმიროთ ახაქს) არმწობები და მსოფლიოებმა იხევე როგორც რომეო და ჯულიეტა: ეს მოზარდებიც ჯერ

არ იყვნენ მოწამდლული ეჭვით, ცხოვრებისეული მარცხით, განხიბვლის სიმწარით და კველაფერი ეს მათთან ერთად „თამაშობდა“, მათ კოველ ჟესტსა და სიტყვაში შეიგრძნობოდა და ტრაგედიას სივრცეში, უკვე აღსრულებული სხვისი ბედის ანარეკლში, განსაჯუთორებით მკაფიოდ გამოიკვეთა მათი პირადა დაუცელობა ცხოვრების წინაშე, მათი მომავლის ბუნდოვნება და გაურკვევლობა. სპექტაკლში უღერდა პროფესიის მუსიკა, თანამედროვე ჯაზური მელოდიები, იუნა მორიცის ლექსები იმაზე, თუ რა ძნელია იყო ახალგაზრდა — იყო სრულყოფილი და მთლიანი ამ არასრულყოფილ სამყაროში... ამ სპექტაკლის არეალი სცილდებოდა სცენის ფიცარნაგას საზღვრებს. ამ შევევარებულთა კერონა იყო თეატრის ფარგლებს მიღმა არსებული უცნაური, მაცდური, ცვალებადი სამყარო — სასტიკი და დაუნდობელი სწორედ ნორჩების მიმართ.

ამ სამყაროს ხილულ განსხვეულებად საკეთო შეიძლებოდა კოფილიყო რამდენიმე წლით ადრე ა. ეფროსის მიერ „მაღაია ბრონნაიას“ თეატრის სცენაზე შექმნილი ვერონა. ეს იყო სიძულვილისა და მუხანათობის სულისკეთებით დაშუბრული გარკვეული „ზონა“, რომელ შიც სტულთ და კლავენ არა საუკუნეთა წიაღმის ფესვგადგმული გვაროვნული შედლის გამო, არამედ იმიტომ, რომ მონტეკიასა და კაპულეტის მაგვარ ადამიანთა კეთილდღეობას, სიმშვიდეს მხოლოდ ძალადობა უზრუნველყოფს. უხილავი საფრთხის წინაშე შიში და შეშფოთება თვით ამ ქალაქის პარაში ტრიალებს: სცენის მიღმა უცებ ამოხეთქილ ყვირილში — „ჯულიეტა, ჯელიეტა!“, რომელსაც შემდეგ თანადათანობით შთანთქავს მტრული, უტყვია სიცარიელე; მეჯლისი კაულეტისთან აღიქმება მოსაწყენ, უღიმდამო ღონისძიება, რომელზეც მხიარულობს მხოლოდ მისი ორგანიზატორი — გაქნილი საქმოსანი და თაღლითი, რომელსაც თუნდაც მცირედი ზარალის გარდა, არაფერი არ აშინებს ამ ქვეყანაზე. „მონტეკი და მე დაგვაჯარიმესო.“ — ეს მისი ერთადერთი ფრაზაა, რომლის შეშფოთებით წარმო-

თქმისას იგი უაღრესად გულწრფელია. კაპულეტი — ლ. ბრონევის შესრულებით დიდად გაქნილი მომრიგბებულებას რომელმაც მომგებიანად მიასაღ ჟელილი პარისს და ამავე დროს — დამნაშავე, რომელიც შესაძლებლობას არ უშევს, ცოტა „გავარჯიშოს“ ხელი. აქვე მეჯლისზე იგი სიმოვნებით ცხვირისის მოუნაყვავს ტიბალდს (ლ. დუროვი), მხოლოდ იმისათვის, რომ მისი ერთგული დამქაში ოდნავ აჩქარდა და გადაწყვიტა, აქვე გასწორებილა რომეოს.

ეფროსის მიერ შეთხულ ვერონაში შევევარებულებს არ შეიძლებოდა პერნოდა ვინგეს თანაგრძნობის, სინდისის ქეჯნის იმედი. მათი სიკვდილი არაურენს არ ცვლის გარემომცველთა ცხოვრების ჩვეულ წესწყობაში. მონტეკისა და კაპულეტის მიერ მიცდულ დაბირებაში — ოქროს ძეგლი დაუდგან დაღუპულ შვილებს — ნალველთან ერთად სიამაყეც გამოსჭივივის. სიამავე იმის გამო, რომ მათ უნარი შესწევთ ესოდენ ძვირფასი ძლვენით გამოიყიდონ ცოდვა.

გ. ქაფთარაძის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე 1974 წელს დადგმული სპექტაკლი ქალაქის მოედანზე ახალგაზრდობის თავაშვებული მხიარულების სცენით იწყებოდა. მაყურებელთათვის უხილავი ღრეულის ტალღა სცენაზე გამოირიგავდა ორ არსებას — ვაჟა და ქალიშვილს. ეს ვაჟი იყო მერკურიო (ქ. ლოლაშვილი). ვნებიანი ამბორი, და სცენა კვლავ ცარიელდებოდა. ხმაური გადაიზრდებოდა სკანდირებაში: „მერკურიო!“, შემდეგ კი მხიარულ შეძახილებს წყევლა და მუქარა ცვლილა — შედლის ხანძარი აენთო... მოჩხუბართა ხმები სულ უფრო ახლოდან მოისმოდა, და ბოლოს ავანსცენაზე იჭრებოდა მოკიცენე, გააფთრებული ბრძო — მონტეკიასა და კაპულეტის დაახლოებული პირი. ბენვოლიოსა (ი. აბრამიშვილი) და ტიბალდის (დ. უფლისაშვილი) გამოჩენა უფრო მეტად აღაგზნებდა ხალხს, კინკლაობა სასტიკ სისხლისლერაში გადაიზარდა და აი, დაჭრილთა ოხვრა-კვნესასა და მათი ახლობლების მოთქმაში სცენაზე გამოდიოდნენ ამპა-

რტავანი გარეგნობის ქალები და მამა-კაცები ხაკარნავალო ნიღბებში, იხსნიდნენ ნიღბებს და მაყურებელის თვალწინწარსდგომზენ დროის ნამდვილი დამნაშავენი — მონტეკები და კაპულეტები.

ნიღბები თითქოსდა აუცხოებდა ვერონის მკვიდრთ მათი ამწუთიერი, დროებითი იერისაგან, ხდიდა მათ განზოგადებულ სახეებად იმ ამორალური ცნებებისა, რომლებიც, სამწუხაოდ, იხეთვე მტკიცე და ურყევია, როგორც სიკეთე და სიყვარული. ამიტომ უმაღ მათი ნამდვილი სახეები აღიქმებოდა ნიღბებად, რომლითაც ამ მოცემულ სიტუაციაში, უგულობა და სისახტიკე მოკაზმულა...

ტუაილად არ ყოფილა სპექტაკლში აქცენტირებული კაპულეტისთან მეჯლისებ მიმავალი მერკუციოს სიტყვები: „აბა მომეცი ეგ შალითა, სახეს მოვარგო. ნიღბებს ნიღბი! რას დავეძებ, თუ დამძრახავენ, დაუ გაწითლდეს ჩემს მაგივრად ჩემი ნიღბი!“ (I მოქ., სურათი V I). რომეოს მეგობარ მერკუციოსათვის ნიღბი თავდაცვის, მიძიკრიის საშუალებაა ამ უსახურობის სამეცნიში. იგი ნიღბებს განსაკუთრებული მნიშვნელობით ირკებდა, — როგორც ჩაჩანს, მუზარადს. ადამიან-ნიღბათა ფონზე რომეო (დ. კვირცხალია) და ჯულიეტა (მ. ჯანაშია) ერთადერთ ცოცხალ არსებებად გვეჩენებოდნენ, და მათი გულწრუელობა, ერთმანეთით წაგდავიწყება კიდევ უფრო მაფიოზ იკვეთებოდა.

ნიღბები სპექტაკლის უკანასკნელ სცენაშიც ჩნდებოდა და, გმირთა სახეებს მორგებული, სიკვდილის აღმნიშვნელი ხდებოდა, არაამქეციურ იერს შესძენდა, მათ. სიკვდილი — არა თავდავიწყება, არამედ სიკვდილი — აღორძინება: ხალხის ხსოვნაში, „სევდიან ამბავში“...

კველა ეს, ერთი შეხედვით საქართველოს კულტურული სკლა თავის თავში იტევდა თეატრალური პირობითობის, გროტესკის, სიმბოლიკის სამუალებებით შექსპირული სანიერების გახსნის ახალ შესაძლებლობებს, ემსახურებოდა პიესის ტრაგიკული კოლიზიების განზოგადებას, ზოგადნაშვნელოვანი არსის გახსნას, ადასტურებდა მათ მუ-

დმივ განმეორებადობას დროში.

შეყვარებულთა სიკვდილი თავის მტრული ოჯახის შერიგებას ჰქონდა ასწავებდა, არამედ შუღლის გადასახლებულობის სისხლიანი ეტაპის დასაწყისს. ფინალში სცენაზე რჩებოდა ფრა ლორენცი (ტ. ყველაიძე), რომლის შემრიგებლური უესტი უმაღ უსუსურობასა და სახორციელების გამოიხატავდა.

„რომეოსა და ჯულიეტას“ სიყვარული არ არის ტრაგიკული. ტრაგედიას ქმნის გმირთა მშვენიერი გრძნობის შეტაცება ბორიტებისა და შუღლის სამყაროსთან... რომეოსა და ჯულიეტას ცხედართან არი მოქიშე თჯახი ურაგდება ერთმანეთს... ისინი სამუდაბო ზავს დებენ... „რომეო და ჯულიეტა“ სრული მნიშვნელობით ოპტამისტური ტრაგედია. მასში ახალი ცხოვრებისეული იდეალების გამარჯვების იმედია გამოხატული“<sup>28</sup>

შექსპირს სჯეროდა ბოროტი ძალების მიერ დარცვეული მსოფლიო წესრიგის აღდენის. სჯეროდა მისია ზემოთმოცვანილი სტრიქონების ავტორსაც — შექსპირის დიდ მცოდნება და განმარტებელს ა. ანიჭსტს, ისევე როგორც მის ბერ თანამედროვეს, რომელიც მოესწრებ ნიურნბერგის პრიუსესა და ხრუშჩივის „დათბობის“ პრიოდს.

მაგრამ დღეს ეს სიტყვები ჩვენში გამოძახილს ვერ პოვებენ — „ოპტამისტური ტრაგედია!“ ძალზე ძვირი ხომ არ აღმოჩნდა მონტეკირისა და კაპულეტის „მუდმივი შევიდობის“ საფასური? და საერთოდ, რომელი „ახალი ცხოვრებისეული იდეალების“ გამარჯვებაზე შეიძლება საუბარი, თუკი „უფროსების“ „მშვიდობა“ ახალგაზრდების ხისხლითაა ნაყიდი. ამ მშვიდობის შედეგი ხომ არ წარმოგიდგინა 80-იანი წლების ბოლოს რ. სტურუაბ თავის სპექტაკლში „მეუე ლირა“ შემლილი მოხუცის სახით, რომელიც ნანგრევებსა და კვამდში თოვით მოახორიალებს, მის მიერვე დალუპულ სიყმაწვილეს...

#### ზონიზონია:

1. А. Я. Танров. Записки режиссера. Статьи, беседы, речи, письма. М., 1970, с. 286.

2. №33. 83. 285—287.

3. К. С. Станиславский. Моя жизнь в искусстве. М.-Л., 1972, с. 153.

4. В. Шварц. Иозиф Кайнц. Л., 1972, с. 153.

5. Эллен Терри. История моей жизни. М.-Л., 1963, с. 203.

6. Т. №33. 83. 210; 215.

8. А. Липков. Шекспировский экран. М., 1975, с.

9. А. Таиров. Записки режиссера..., с. 287.

10. Б. Пастернак. Заметки к переводам шекспировских трагедий. Сб. — Литературная Москва. М., 1956, с. 807.

11. А. Барташевич. Английский театр. Сценическое искусство. История западноевропейского театра, т. 7, М., 1985, с. 299—300.

12. Е. Финкельштейн. Кафтель четырех, Л., 1974, с. 245.

13. №33. 83. 296, 182.

14. А. Барташевич. Шекспир на английской сцене (конец XIX — первая половина XX вв.), М., 1985, с. 198.

15. №33. 83. 198.

16. В. Громов. М. Чазов. М., 1970, с. 130.

17. А. Таиров. Записки режиссера..., с. 287.

18. М. Морозов. Избранные статьи и переводы. М., 1954, с. 61.

19. Ньюзомбрук. Энциклопедия театра. №6. Б. Уильям Шекспир. Шекспир в спектаклях народного театра. Гл. ред. А. Астафьев. Гл. ред. П. Урушадзе. Театроведческие изыскания. Неосуществленный замысел Марджанишвили. 1983.

20. Е. Финкельштейн. Кафтель четырех, с. 344.

21. №33.

22. Б. Зингерман. Очерки истории драмы 20 века. М., 1979, с. 366.

23. Jean Anouilh. Romeo et Jeannette. Edition de la table Ronde, Paris, 1971.

24. Л. Зонина. Послесловие к сборнику: Т. Ануи, Пьесы. т. 2. М., с. 13.

25. А. Липков. Шекспировский экран. М., 1975, с. 260.

26. С. Чертоук. Франко Даэфиелли. См. сб.: Экран 1968—1969, М., 1969, с. 285.

27. А. Липков. Шекспировский экран. с. 267.

28. А. Анникст. Творчество Шекспира. М., 1963, с. 228—230.

## ირჩევა სახაუვილი —

### არცისები და

### კიდევთი და

მუსიკალურ წრეებში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, სამსახურებული არტისტი ირინე საბაშვილი. მისი მოღვაწეობა წარმოადგენს პროფესიულ კეთილსინდისიერების მინაბაძ მაგალითს, ქალბატონი ირინე იმ იშვიათ ადამიანთა შორისაა, ვინც პირად კეთილდღეობაზე, ნივთიერ ინტერესებზე მაღლა აყენებს თავის საქმეს, სულიერი ენერგიის ჩემოლიზაციის ამოცანებს. დღეს ჩვენ მწვაველ განვიცდით ასეთი მაღალი დონისა და უმარტოების სპეციალისტების ნაკლებობას.

ირინე საბაშვილი განვლილი აქვს ჩინებული პიანისტური სკოლა, იგი გამოჩენილი მუსიკოსის ანასტასია ვიჩსალაძის აღზრდილია. მის შემოქმედებით ხელწერას მკვეთრად ამჩნევია ამ საამბაზ მემკვიდრეობისთვის კვალი, ამას ცხადებულს ი. საბაშვილისათვის დამახსიათებელი დახვეწილი ინსტრუმენტული აზროვნება, საიდანაც გამოსვეიკის კულტურა, გემოვნება, ლრმა ცოდნა.

წლების განვილზე ეს უალრესად სადა და მოქრძალებული დამიანი თავდადებით ემსახურება ერთოვნულ საკონცერტოებისტების ხელოვნებას, ხელს უწყობს ამ ურთულესი დარგის განვითარებას.

ირინე საბაშვილი არტისტიცაა და პედაგოგიც, ერთნაირი გატაცებითა და